ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11.07.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 015/14

შეკითხვა:

ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე იცავდა კლიენტ „ბ“-ს ინტერესებს. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ჰონორარის ოდენობა. კლიენტი „ბ“ არ იხდის საადვოკატო მომსახურების ჰონორარს, რის საფუძველზეც ადვოკატს სურს შეწყვიტოს კლიენტის ინტერესების დაცვა. ამ შემთხვევაში, დაარღვევს თუ არა ადვოკატი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებს?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, „ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: „ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით, „ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 ნაწილის გათვალისწინებით‘‘.

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატსა და კლიენტს შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე წინასწარ განისაზღვრა ჰონორარის ოდენობა. ამ შემთხვევაში, ადვოკატს შეუძლია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე შეწყვიტოს კლიენტის ინტერესების დაცვა, რაც გულისხმობს ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმას, ისეთ შემთხვევაში, როდესაც კლიენტს შეუძლია ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით.

დასკვნა:

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი არ არღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებს კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას, თუ კლენტი არ უხდის მას საადვოკატო მომსახურების ჰონორარს და არ არსებობს ისეთი გარემოება, რაც მას ხელს შეუშლის ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული მომსახურებით.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.